მომსახურების ხელშეკრულება

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში მოხსენებული, როგორც „მომსახურების ხელშეკრულება“) ძალაში შედის ბარგის თვალსადევნებელი მომსახურების პროდუქტის შეძენის თარიღიდან, რომელიც შემოთავაზებულია Blue Ribbon Bags -ის („პროვაიდერი“) მიერ ან ავიახაზის მგზავრის („მგზავრი“) სახელით. პროვაიდერი და მგზავრი შემდგომში ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „მხარეები“.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მომსახურების ხელშეკრულება:

პროვაიდერის მიერ შემოთავაზებული ბარგის თვალსადევნებელი მომსახურება მოიცავს შემოწმებული ბარგის დაბრუნების მომსახურებას, რომელიც წარმოადგენს რეისის ან რამოდენიმე რეისის ტვირთს, მაგრამ არა იმ რეისის/რეისების ტვირთს, რომლითაც მგზავრობს მგზავრი, ან რომელიც გადამისამართებული იყო სხვა დანიშნულებაზე განსახვებული თქვენი რეისის საბოლოო დანიშნულების ადგილისგან, როგორც შეტყობინებულია შესრულებული ავიახაზის რეისის მიერ („არასწორად მოპყრობილი ბარგი“), ითვალისწინებს მომსახურების კმაყოფილების გარანტიას, რომელიც მოიცავს ანაზღაურებას ნებისმიერი არასწორად მოპყრობილი ბარგისთვის, რომლის ადგილმდებარეობის დადგენა ვერ ხერხდება ფიქსირებული გარკვეული პერიოდის შემდეგ. აღნიშნული ფიქსირებული პერიოდი უნდა იყოს მგზავრის შესრულებული რეისის დაშვებიდან 96 საათი, სადაც ადგილი აქვს მგზავრთთან ბარგის არ ჩამოსვლას განრიგის მიხედვით და როგორც შეტყობინებულია შესრულებული ავიახაზის რეისის მიერ.

მომსახურების ელემენტები მოიცავს შემდეგს:

(ა) ბარგის დაბრუნება

ბარგის დაბრუნების მომსახურების ფარგლებში, პროვაიდერი აქტიურად უნდა აწარმოოს მგზავრთან, ავიახაზთან და სხვა რესურსებთან თანამშრომლობა, რათა დაადგინოს მგზავრის არასწორად მოპყრობილი ბარგის ადგილმდებარეობა და სწრაფად მოახდინოს მისი დაბრუნება მგზავრის საბოლოო დანიშნულების ადგილზე თვითმფრინავის რეალური ჩამოსვლის დროიდან 96 საათის განმავლობაში (შემდგომში „მომსახურების პერიოდი”). **მგზავრი აცნობიერებს რომ Blue Ribbon Bags არის ინტერნეტზე დამყარებული მომსახურება. ყველა მიმოწერა, რომელიც დაკავშირებულია არასწორად მოპყრობის ბარგის შეტყობინებებთან, ან რაიმე Blue Ribbon Bags მომსახურებასთან დაკავშირებით, წარმოებული უნდა იყოს პროვაიდერთან მხოლოდ ელ.ფოსტის საშუალებით. მგზავრები და მომხმარებლები კვლავ ვალდებულნი იქნებიან შეასრულონ ამ მომსახურების ხელშეკრულების პირობები, თუნდაც საკმარისი ინტერნეტის ან ელექტრონული ფოსტის წვდომის გარეშე.**

ყოველი შეძენილი მომსახურება ვრცელდება მხოლოდ ავიახაზის დადასტურების ნომერში ჩამოთვლილ რეისებზე, რომლებისთვისაც შეძენილია მომსახურება. თუ რამდენიმე რეისი დაჯავშნილია ცალ-ცალკე და ჩამოთვლილია ცალკეული დამადასტურებელი ნომრების ქვეშ, მაშინ ცალკეული მომსახურების ხელშეკრულებები უნდა იყოს შეძენელი თითოეული ავიაზახის დამადასტურებელი ნომრისთვის. ტურისტულმა აგენტებმა შეიძლება შეიძინონ მომსახურება GDS-ით მითითებული “PNR” ნომრის ქვეშ. ონლაინ ტურისტულმა სააგენტოებმა შეიძლება შესთავაზონ პროდუქტი მათ საიტზე შეძენილი ორმხრივი ავიაბილეთებისთვის, მაშინაც კი, თუ ორმხრივი ბილეთი შეიცავს ავიაკომპანიის დადასტურების რამდენიმე ნომერს. სამოგზაურო სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ დაამატონ ჩვენი პროდუქტი თავიანთ შეთავაზებებში და პროდუქტი დაფარავს მგზავრს იმავე თარიღის დიაპაზონში, როგორც შეძენილი სამოგზაურო დაზღვევის პოლისი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი რეისი განხორციელდება ამ თარიღის ფარგლებში.

(ბ) მომსახურების კმაყოფილების გარანტიის გადასახადი

თუ ბარგის დაბრუნების მომსახურება წარუმატებელია და მგზავრის არასწორად მოპყრობილი ბარგის დაბრუნება ვერ ხერხდება, ამ პირობების მიხედვით, მომსახურების პერიოდის განმავლობაში, პროვაიდერი აუნაზღაურებს მგზავრს მომსახურების კმაყოფილების გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულების ლიმიტის შესაბამისად. პროვაიდერი სთავაზობს ბარგის დაბრუნების მომსახურებების მრავალი დონის არჩევანს. მგზავრი აირჩევს ბარგის დაბრუნების მომსახურების სასურველ დონეს, შესაბამისი მომსახურებით დაკმაყოფილების გარანტიის ვალდებულების ლიმიტით, რომელიც მითითებულია ქვემოთ (დ) ნაწილში, და გადაუხდის პროვაიდერს მომსახურების ხელშეკრულების შესაბამის გადასახადს, რომელიც მითითებულია ქვემოთ (გ) ნაწილში.

(გ) მომსახურების ხელშეკრულების გადასახადი		(დ) მომსახურების დაკმაყოფილების გარანტიის ვალდებულების ლიმიტი
Gold Service - US5,00	-	1 000,00
Platinum Service - US7,50	-	1 500,00
Diamond Service - US10,00	-	2 000,00

მომსახურების დაკმაყოფილების გარანტიის ანაზღაურების ვალდებულების ლიმიტი შემოიფარგლება ორი (2) მიუწოდებელი ჩანთით თითო მგზავრზე.

ბარგის დაბრუნების მომსახურებისა და მომსახურების დაკმაყოფილების გარანტიის ანაზღაურების სარგებლობის უფლების მისაღებად, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულებით, მგზავრმა თანხმობა უნდა გამოაცხადოს და სრულად უნდა დაიცვას შემდეგი:

2. მგზავრის პასუხისმგებლობა და ვალდებულება:

ა. მგზავრის მიერ მომსახურების ხელშეკრულების საფასურის გადახდა წარმოადგენს მგზავრის მიერ ამ მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებზე სრულ თანხმობას.

ბ. ყველა ინფორმაცია, მიწოდებული პროვაიდერთან ბარგის თვალსადევნებელი მომსახურების პროდუქტის შეძენისას, ან არასწორად მოპყრობილი ბარგის ანგარიშის წარდგენისას (“MBR“), უნდა იყოს ზუსტი და უტყუარი. პროდუქტის შეძენისას ინფორმაციის არაზუსტი ჩანაწერები, მათ შორის მგზავრების არასწორი სახელები, არასწორად არჩეული ავიახაზები და არასწორი ავიახაზის დადასტურების ნომრები (ელექტრონული ბილეთის ნომრები ან ნებისმიერი ბილეთის ნომერი, რომელიც გაცემულია ტურისტული სააგენტოს მიერ, რომელმაც მიყიდა მგზავრს ავიაბილეთი, არ კვალიფიცირდება როგორც ავიახაზის დამადასტურებელი ნომრები. ავიახაზის დადასტურების ნომერი გაცემული უნდა იყოს თავად ავიაკომპანიის მიერ და მხოლოდ ის რეისები, რომლებიც ჩამოთვლილია ავიაკომპანიის მიერ გაცემული ავიახაზის დადასტურების ნომრის ქვეშ, რომელზედაც შეძენილი იყო ბილეთი, დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს ბარგის აღების სერვისისთვის ან Blue Ribbon Bags კმაყოფილების გარანტირებული ანაზღაურებისთვის დაკარგული ჩანთის შემთხვევაში), გააუქმებს მომსახურების ხელშეკრულებას და შესაბამისად მგზავრს არ ექნება უფლება ბარგის დაბრუნების ნებისმიერ მომსახურებაზე და მომსახურების დაკმაყოფილების გარანტიის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული ამ მომსახურების ხელშეკრულების ქვეშ. ყველა ინფორმაცია მიწოდებული პროვაიდერთან არასწორად მოპყრობილი ბარგის შეტყობინების დროს, გამოყენებული იქნება არასწორად მოპყრობილი ბარგის ანგარიშის დამუშავებისას, მათ შორის ავიახაზის რესის ჩამოსვლის დროები. თუ მგზავრს, არასწორად მოპყორბილი ბარგის შეტყობინებაში არასწორი ელ. ფოსტის მისამართი ექნება მითითებული, პროვაიდერი არ იქნება პასუხისმგებელი მგზავრის უუნაროობაზე სწორად გასცეს პასუხი ან დაიცვას მომსახურების ხელშეკრულების წესები და პირობები.

გ. თუ პროვაიდერი ელ. ფოსტით აცნობებს მგზავრს, არასწორი ინფორმაციის შესახებ, რომელიც მოწოდებულია მგზავრის არასწორად მოპყრობილი ბარგის შეტყობინებაში, მგზავრს ექნება 12 საათი მოწოდებული ინფორმაციის გამოსასწორებლად. ნებისმიერი მცდარი ინფორმაცია, რომელიც არ არის შესწორებული მგზავრის მიერ, ამის შესახებ ინფორმირებიდან 12 საათის განმავლობაში, გააუქმებს მომსახურების ხელშეკრულებას და არასწორად მოპყრობილი ბარგის ანგარიშს და

მგზავრს არ ექნება უფლება ისარგებლოს ბარგის დაბრუნების მომსახურებით ან გარანტირებული ანაზღაურებით.

დ. მგზავრმა უნდა შეიძინოს ბარგის თვალსადევნებელი მომსახურების პროდუქტი თვითმფრინავის საწყისი გაფრენის დრომდე. მგზავრმა უნდა შეიძინოს ბარგის თვალსადევნებელი მომსახურება ყველა ფრენამდე მათი გამავალი ან შემომავალი მოგზაურობის ფარგლებში. მგზავრს არ შეუძლია შეიძინოს მომსახურება რესიების ეტაპებს შორის ყოფნისას (ანუ დამაკავშირებელ რეისებს შორის ყოფნისას). ყველა რეისი მგზავრის მარშრუტის ფარგლებში, ან რომელიც მგზავრმა აიღო დანიშნულების ადგილზე მისასვლელად, და ყველა რეისი, რომელზეც მგზავრის ჩანთ(ებ)ი დაფიქსირდა ნებისმიერი ავიაკომპანიის ბარგის მონიშვნის სისტემის მიერ მათი საბოლოო დანიშნულების ადგილამდე მოგზაურობისას, უნდა იყოს დაფარული Blue Ribbon Bags მომსახურებით ბარგის დაბრუნების მომსახურების სარგებლობის უფლებისთვის ან Blue Ribbon Bags-ის დაკმაყოფილების გარანტირებული ანაზღაურებით არასწორად მოპყრობილი ბარგის შემთხვევაში. მგზავრის მოგზაურობის ნებისმიერი ნაწილი დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად, ან თუ მგზავრების ბარგი მონიშნულია ნებისმიერი ავიაკომპანიის ბარგის მონიშვნის სისტემის ქვეშ, რომელიც არ არის დაფარული Blue Ribbon ბარგების მომსახურების ხელშეკრულებით, მოახდენს მგზავრის დისკვალიფიკაციას ბარგის აღების მომსახურების ან გარანტირებული დაკმაყოფილების ანაზღაურების მიღებაში არასწორად მოპყრობილი ბარგის შემთხვევაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მოგზაურობის ფარგლებში ყველა სხვა ფრენას აქვს მათთვის შეძენილი ცალკე მომსახურება. მას შემდეგ, რაც ჩანთვისთვის განკუთვნილი არასწორად მოპყრობილი ბარგის შეტყობინება შეივსება, მგზავრს არ შეუძლია შეიძინოს დამატებითი მომსახურება დამატებითი რესიებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ჩანთასთან, რომელიც მოხსენებულია აქტიური MBR-ით. მიწოდების მისამართის ნებისმიერი ცვლილება, რომელიც საჭიროებს დამატებით რეისს, რაც საჭიროებს დამატებით მომსახურებას, არ შეიძლება იყოს შეძენილი არასწორად მოპყრობილი ბარგის შეტყობინების შეტანის შემდეგ. მგზავრის მიწოდების მისამართის ცვლილება არასწორად დამუშავებული ჩანთისთვის, რომელიც უკვე ეცნობა პროვაიდერს, რომელსაც აქამდე არ გააჩნია დამატებითი მომსახურება დაკავშირებული დამატებით რეისთან, მგზავრს ჩამოართმევს უფლებას ბარგის დაბრუნების მომსახურებაზე ან Blue Ribbon Bags-ის გარანტირებულ კმაყოფილების ანაზღაურებაზე

ე. მგზავრი აცნობიერებს, რომ პროვაიდერს უფლება აქვს უარყოს ნებისმიერი მცდელობა ბარგის თვალსადევნებელი მომსახურების პროდუქტის შესაძენად და შეუძლია გააუქმოს ნებისმიერი მომსახურების ხელშეკრულება (მათ შორის, მომსახურების ხელშეკრულების საფასურის დაბრუნება მგზავრისთვის) ნებისმიერ დროს, მგზავრის მიერ არასწორად მოპყრობილი ბარგის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე.

ვ. მგზავრმა, პროვაიდერთან არასწორად მოპყრობილი ბარგის შესახებ შეტყობინებამდე, დროულად, მომსახურების პერიოდის განმავლობაში, უნდა შეატყობინოს პრეტენზია ავიაკომპანიას (ავიაკომპანიის წესებით მოთხოვნილი ფორმით), რომ მგზავრის ბარგი არასწორად იყო მოპყრობილი ან არ იყო მოწოდებული.

ზ. მგზავრმა უნდა მიიღოს ავიაკომპანიისგან დადასტურება არასწორად მოპყრობილი ბარგის პრეტენზიის შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს უნიკალურ იდენტიფიკატორს მათი ავიაკომპანიის დაკარგული ბარგის მოთხოვნის შესახებ (ხშირად უწოდებენ ფაილის ლოკატორს, საცნობარო ან თრექინგის ნომერს). Blue Ribbon Bags არ მოიპოვებს უნიკალურ საიდენტიფიკაციო ნომრებს (ფაილის საცნობარო ნომერი, ლოკატორი ან ტრეკინგის ნომრები) ავიაკომპანიიდან მომხმარებლის სახელით. მგზავრის პასუხისმგებლობაა შეაგროვოს ეს ინფორმაცია ავიახაზისგან დაკარგული ბარგის საჩივრის წარდგენისას ავიაკომპანიაში. არასწორად მოპყრობილი ბარგის შეტყობინებები, რომლებიც არ შეიცავს უნიკალურ საიდენტიფიკაციო ნომრებს, არ დამუშავდება და მგზავრი არ იქნება უფლებამოსილი ნებისმიერი ბარგის დაბრუნების მომსახურების სარგებლობის და მომსახურების დაკმაყოფილების გარანტიის ანაზღაურების მისაღებად წინამდებარე მომსახურების შეთანხმების შესაბამისად.

თ. შემდგომ მგზავრმა უნდა შეატყობინოს პროვაიდერს არასწორად მოპყრობილი ბარგის შესახებ ანგარიშგების მეთოდების გამოყენებით, როგორც ეს აღწერილია ამ შეთანხმების მე-2 ნაწილის კ პუნქტში, ავიაკომპანიის მიერ გაცემული უნიკალური იდენტიფიკატორის მითითებით მათი დაკარგული ბარგის მოთხოვნისთვის („ფაილის საცნობარო ნომერი“) თითოეული ჩანთისთვის („ბარგის ეტიკეტის ნომერი“) და ყველა საჭირო ინფორმაცია, თვითმფრინავის რეალური

ჩამოსვლის დროიდან 24 საათის განმავლობაში, რათა დამუშავდეს არასწორად მოპყრობილი ბარგის შეტყობინება. ნებისმიერი არასწორად მოპყრობის ბარგის შესახებ შეტყობინება, რომელიც ეცნობება Blue Ribbon Bags-ს თვითმფრინავის ფაქტობრივი ჩამოსვლის დროიდან 24-საათიანი ვადის გასვლის შემდეგ, უარყოფილი იქნება, მიუხედავად გარემოებებისა და მიზეზებისა, და ეს მგზავრები არ ისარგებლებენ ბარგის აღების მომსახურებით ან მომსახურების კმაყოფილების გარანტირებული ანაზღაურებით.

ი. არასწორად მოპყრობილი ბარგის შეტყობინების შეტანის პროცესის დასრულებისთვის, ყველა მგზავრმა უნდა წარუდგინოს Blue Ribbon Bags-ს მგზავრის რეისის დაშვებიდან 24 საათის განმავლობაში შეტყობინების ასლი, რომელიც მგზავრს მიეწოდა ავიაკომპანიის მიერ დაკარგული ბარგის საჩივრის წარდგენისას, რათა მგზავრმა ისარგებლოს ბარგის დაბრუნების მომსახურებით ან Blue Ribbon Bags-ის დაკმაყოფილების გარანტირებული ანაზღაურებით. თუ მგზავრისთვის ავიახაზის მიერ მიწოდებული დოკუმენტაცია არ იქნება შეტანილი Blue Ribbon Bags-თან მგზავრის რესის დაშვებიდან 24 საათის განმავლობაში, მათი არასწორად მოპყრობილი ბარგის შესახებ შეტყობინება Blue Ribbon Bags-თან იქნება უარყოფილი, და მგზავრი ვერ ისარგებლებს ბარგის დაბრუნების მომსახურებით ან Blue Ribbon Bags-ის დაკმაყოფილების გარანტირებული ანაზღაურებით. მგზავრმა შეტყობინება უნდა გააგზავნოს ელ. ფოსტის საშუალებით Blue Ribbon Bags-ის მიერ დანიშნულ ელ. ფოსტის მისამართზე mbr@blueribbonbags.com და მგზავრმა ელ. ფოსტს საგნის ველში უნდა მიუთითოს მისი მომსახურების ხელშეკრულების ნომერი, რომელიც მათ Blue Ribbon Bags-მა მიაწოდა შეძენისას. ავიაკომპანიის დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც შეტანილია სხვა გზით და არა როგორც ეს მითითებულია აქ, არ ჩაითვლება ვალიდურ განაცხადად და არ განიხილება Blue Ribbon Bags-თან არასწორად მოპყრობილი ბარგის შესახებ შეტყობინების საკითხთან დაკავშირებით. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც არ გააჩნია თანმხლები დოკუმენტაცია წარმოდგენილი ამ ნაწილში აღწერილი წესით, უარყოფილი იქნება 24-საათიანი ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც მგზავრის რეისი დაეშვა და მგზავრი ვერ მიიღებს ბარგის დაბრუნების მომსახურების ან Blue Ribbon Bags-ის კმაყოფილების გარანტირებული ანაზღაურების მომსახურების სარგებლობის უფლებას.

კ. ყველა ჩანთა ჩაითვლება მგზავრისთვის დაბრუნებულად და წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება ჩაითვლება შესრულებულად, Blue Ribbon Bags მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად,

როდესაც ავიაკომპანიის დაკარგული ბარგის სისტემის მიხედვით, ჩანაწერით აღინიშნება, რომ ბარგი აეროპორტში ჩამოვიდა დროულად ავიკომპანიასთან გასაჩივრებული დაკარგული ბარგის შესბამისად.

ლ. მგზავრმა უნდა შეატყობინოს პროვაიდერს არასწორად მოპყრობილი ბარგის პრეტენზიის შესახებ პროვაიდერთან შეტყობინების შეტანით, ან:

- ონლაინ მისამართზე https://www.blueribbonbags.com/MbrFilingPassenger ან
- ტელეფონით (888) BAGGAGE (888-224-4243), 24 საათის განმავლობაში კვირაში 7 დღე.
- მომსახურების სარგებლობისთვის საჭიროა, რომ ყველა არასწორად მოპყრობილი ბარგის შესახებ ანგარიში წარედგინოს Blue Ribbon Bags -ს მგზავრის რეისის დაშვებიდან 24 საათის განმავლობაში
-

მ. მგზავრი ამით პირდაპირ ნებართვას აძლევს პროვაიდერს იმოქმედოს მგზავრის სახელით ბარგის დაბრუნების მომსახურების მიწოდებისას, ავიაკომპანიასთან ყველა პირდაპირი კომუნიკაციის ჩათვლით, და თანახმაა დაუყონებლივ უზრუნველყოს ამ უფლებამოსილების ნებისმიერი საჭირო წერილობითი ან სხვა დადასტურება. მგზავრი აძლევს სრულ ნებართვას ნებისმიერ ავიაკომპანიას, მგზავრის სახელით პროვაიდერს გაუგზავნოს ნებისმიერი და ყველა პირადი და ბარგის/ფრენის ინფორმაცია. როდესაც მგზავრი ყიდულობს BRB მომსახურებას ონლაინ ტურისტული სააგენტოს ან პროდუქტის სხვა მესამე მხარის გამყიდველის მეშვეობით, მგზავრი ანიჭებს სრულ

უფლებამოსილებას ონლაინ ტურისტული სააგენტოს ან მესამე მხარის გამყიდველს, რომ ნებისმიერ დროს გასცეს პროვაიდერს ყველა პირადი და მოგზაურობის მარშრუტის შესახებ ინფორმაცია, მგზავრის გამგზავრებამდე ან მის შემდეგ.

- ნ. თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული წერილობით, ყველა გადახდა, მომსახურების დაკმაყოფილების გარანტიის ანაზღაურების შესაბამისად, რომელიც შესრულებულია ჩეკით კონკრეტული არასწორად მოპყრობილი ბარგის ანგარიშისთვის, უნდა განხორციელდეს ჩეკის გაცემის დღიდან 90 დღის განმავლობაში. ნებისმიერი ჩეკი, რომელიც არ არის განაღდებული გაცემის დღიდან 90 დღის განმავლობაში, გააუქმებს დაკმაყოფილების გარანტირებულ ანაზღაურებას და Blue Ribbon Bags აღარ იქნება პასუხისმგებელი ამ მგზავრის მიმართ არასწორად მოპყრობილი ბარგის შეტყობინებაზე.
- ო. თუ არასწორად მოპყრობილი ბარგის ანგარიში დაიხურა ან უარყოფილი იქნა რაიმე და/ან ყველა მიზეზის გამო, და მგზავრი თვლის, რომ MBR-ის დახურვა შეცდომაა, მგზავრს აქვს 12 საათი დახურვის ან უარყოფის ელ. ფოსტის მიღებიდან, რათა აცნობოს Blue Ribbon Bags შეცდომის შესახებ. მგზავრს შეუძლია აცნობოს Blue Ribbon Bags-ს ამ შეცდომის შესახებ პროვაიდერთან ელ. ფოსტის გაგზავნით მისამართზე mbr@blueribbonbags.com და სათაურის ველში მისი MBR ნომერის ჩასმით. აღნიშნული 12-საათიანი პერიოდის შემდეგ, ელ. ფოსტით ან სხვა მეთოდით შეტყობინებული ნებისმიერი შეცდომის შესახებ ინფრომაცია არ მიიღება და MBR ფაილი ხელახლა არ გაიხსნება და მგზავრი არ ისარგებლებს ბარგის დაბრუნების მომსახურებით ან ჩვენი დაკმაყოფილების გარანტირებული ანაზღაურებით, მიუხედავად გარემოებებისა. თუ პროვაიდერი აღიარებს შეცდომას და MBR ფაილი ხელახლა გაიხსნება, პროვაიდერს ექნება დამატებითი 72 საათი საწყისი 96 საათის შეწყვეტიდან მგზავრის რეისი დაშვებიდან, სხვაგვარად ცნობილი როგორც მომსახურების პერიოდი, მგზავრის ბარგის ადგილმდებარეობის დასადგენად. ნებისმიერი ბარგი, რომელიც დაკავშირებულია არასწორად მოპყრობილ ბარგის შეტყობინებასთან, რომელიც ხელახლა გაიხსნა რაიმე მიზეზით, ჩაითვლება მგზავრისთვის „დაბრუნებულად“, ამ მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, როგორც კი ბარგი მიიღება აეროპორტში ავიაკომპანიის დაკარგული ბარგის პრეტენზიის საშუალებით, და მგზავრი აღარ ისარგებლებს ბარგის დაბრუნების მომსახურებით ან Blue Ribbon ჩანთების დაკმაყოფილების გარანტირებული ანაზღაურებით.

პ. ნებისმიერი არასწორად მოპყრობილი ბარგი, რომელიც ავიაკომპანიის ან აეროპორტის მიერ მოითხოვდა მგზავრის მიერ ხელახლა შემოწმებას აეროპორტში, დამაკავშირებელი რეისების ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, და რომელზეც ავიაკომპანიას არ აქვს აღნიშნული ხელახალი შემოწმების მოთხოვნის შესრულების ჩანაწერი, არ ჩაითვლება „არასწორად მოპყრობილ ბარგად“ მომსახურების ხელშეკრულების წესებისა და პირობების მიხედვით და შესაბამისად არ დაექვემდებარება ბარგის დაბრუნების მომსახურებას ან Blue Ribbon დაკმაყოფილების გარანტირებულ ანაზღაურებას.

3. დამატებითი პირობები:

ა. წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება ვრცელდება მხოლოდ არასწორად მოპყრობილ ბარგზე. ყველა არასწორად მოპყრობილ ბარგზე ავიაკომპანიის მიერ გაცემული უნდა იყოს „ეტიკეტის ნომერი“ აეროპრტში ბარგის შემოწმებისას. ნებისმიერი ბარგი ეტიკეტის ნომრის გარეშე არ წარმოადგენს არასწორად მოპყრობილ ბარგს წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულების წესებისა და პირობების თანახმად.

ბ. წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება არ ფარავს მგზავრს ბარგზე, რომელიც დაბრუნდა მომსახურების პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად ბარგის მდგომარეობისა და მისი სიგთავსისა.

გ. წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება არ ფარავს ბარგის ან მისი შიგთავსის ქურდობას ან დაზიანებას ნებისმიერ დროს, მათ შორის მას შემდეგ, რაც ბარგი მგზავრს დაუბრუნდება. ნებისმიერი ავიაკომპანიის პრეტენზია დაკარგულ ბარგზე, რომელიც მოიცავს მგზავრობის სხვა ფორმას, გარდა საჰაერო მოგზაურობის ჩამოთვლილ ნაწილში მგზავრის მოგზაურობის დროს, გააუქმებს მომსახურების ხელშეკრულებას და მგზავრი ვერ ისარგებლებს ბარგის დაბრუნების მომსახურებით ან Blue Ribbon Bags დაკმაყოფილების გარანტირებული ანაზღაურებით.

დ. პროვაიდერს შეუძლია გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება და პროვაიდერს არ აქვს რაიმე ვალდებულება მგზავრის ან მესამე მხარის მიმართ, ავიაკომპანიის ან პროვაიდერის მიერ თაღლითობის შესახებ მოხსენების ან გამოძიების შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებულია დაკარგული ბარგის პრეტენზიასთან ან არასწორად დამუშავებული ბარგის შესახებ მოხსენებასთან. და პროვაიდერს შეუძლია ასეთი თაღლითობის შესახებ მოთხოვნა წარუდგინოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს.

ე. ეს სერვისის შეთანხმება შეიცავს მითითებით ნებისმიერ ინსტრუქციას, რომელიც დაკავშირებულია არასწორად მოპყრობილი ბარგის ანგარიშებთან ან ბარგის სერვისის მახასიათებლებთან, რომლებიც განთავსებულია პროვაიდერის ვებსაიტზე, მათ შორის რეგულარულ განახლებებთან.

ვ. დაბრუნებული ჩანთები, რომლებიც მიწოდებულია მომსახურების პერიოდის განმავლობაში მგზავრის მიერ ავიაკომპანიისთვის მიწოდებულ დანიშნულებამდე, ჩაითვლება მგზავრისთვის დაბრუნებულად, ამ მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად.

ზ. მომსახურებით კმაყოფილების საგარანტიო ანაზღაურება არასწორად მოპყრობილ ბარგზე პასუხისმგებლობის ლიმიტის მხრივ შემოიფარგლება ორი (2) ჩანთით ერთ ადამიანზე.

თ. მგზავრს არ აქვს უფლება მიიღოს მრავალჯერადი ანაზღაურება მომსახურების დაკმაყოფილების საგარანტიო პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში ერთი და იგივე არასწორად დამუშავებული ბარგისთვის, მაშინაც კი, თუ შეძენილია მრავალი სერვისის ხელშეკრულება.

ი. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრმა ვერ გადაიხადა მომსახურების ხელშეკრულების საფასური, ან პროვაიდერმა უარყო ან გააუქმა მომსახურების ხელშეკრულება, მომსახურების ხელშეკრულებას არ ექნება ძალა და ეფექტი და პროვაიდერს არ ექნება რაიმე ვალდებულება მგზავრის ან მესამე მხარის მიმართ. ეს დებულება ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სადავოა საკრედიტო ბარათის საფასური კონკრეტული მომსახურების ხელშეკრულებისთვის.

კ. საკუთრების უწესრიგობის ანგარიშები (PIR) გაცემული აეროპორტის მიერ (მაგ. აეროპორტის დაკარგულის და ნაპოვნის განყოფილება ან სხვა აეროპორტის ოფისი) ან ბარგის უწესრიგობის ანგარიშები (BIR) ან დაკარგული ბარგის პრეტენზიის ფორმები, გაცემული აეროპორტის მიერ: მგზავრი არ ექვემდებარება მომსახურების კმაყოფილების საგარანტიო გადასახადებს ამ მომსახურების შეთანხმების ქვეშ ავიაკომპანიის პრეტენზიის დადასტურებისთვის, რომელიც გაიცემა როგორც PIR აეროპორტის მიერ, ან BIR ან დაკარგული ბარგის მოთხოვნის ფორმები აეროპორტის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა თუ ავიაკომპანია გასცემს ცალკეულ გადასახადს (კომპენსაციას) არასწორად მოპყრობილი ბარგისთვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავიაკომპანიამ უზრუნველყო ცალკეული კომპენსაცია მგზავრის დაკარგული ბარგისთვის, პროვაიდერი გადაიხდის მომსახურების კმაყოფილების საგარანტიო გადასახადს არასწორად მოპყრობილი ბარგისთვის, რომელიც არ დაბრუნებულა მომსახურების პერიოდში. თუ ავიაკომპანია არ გასცემს ცალკე კომპენსაციას, პროვაიდერს არ ექნება გადახდის ვალდებულება. საჭირო იქნება ავიაკომპანიის მიერ გადახდის დამადასტურებელი საბუთი არასწორად მოპყრობილ ბარგზე. ავიაკომპანიის მიერ მგზავრისთვის მიწოდებული ეს კომპენსაცია უნდა იყოს

დოკუმენტირებული ავიაკომპანიის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს კომპენსაციას და უნდა იყოს დაკარგული ჩანთისთვის, როგორც ეს დოკუმენტირებულია ავიაკომპანიის მიერ. ავიაკომპანიის მიერ შეთავაზებული „საჭიროების საფასური“ ან ანაზღაურება გაწეული ხარჯებისთვის, როდესაც ბარგი იკარგება, არ ჩაითვლება კომპენსაციად და მგზავრი ვერ მიიღებს BRB კმაყოფილების საგარანტიო გადასახადს.

ლ. პროვაიდერი არ არის პასუხისმგებელი რაიმე შეფერხებაზე მის კონტროლს მიღმა არსებული გარემოებების გამო. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ნებისმიერ ბარგს, რომელიც ვერ იტვირთება რეისზე უსაფრთხოების საკითხების გამო (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, ჩანთაში აღმოჩენილი სახიფათო ტვირთით, და/ან ჩანთა, რომელიც საბაჟოში რაიმე მიზეზით ჩერდება.). გარდა ამისა, მესამე მხარის გადამზიდავების მიერ მიწოდების წარუმატებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც ცდილობენ დაბრუნებული ბარგის მგზავრამდე მიტანას, ან მგზავრის მიერ გონივრული ძალისხმევის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით დაბრუნებული ბარგის მიღებისთვის მომსახურების პერიოდის განმავლობაში, ან პროვაიდერს დახმარებასთან დაკავშირებით პროვაიდერის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი გზით, მომსახურების პერიოდში. ეს მოიცავს პროვაიდერის მოთხოვნას ბარგის აღწერილობის შესახებ, მგზავრის ბარგის შიგთავსის ჩამონათვალს ან მგზავრის მიერ ბარგზე განთავსებული ნებისმიერ მონიშნვას ან საიდენტიფიკაციო ნიშანს. ამ ტიპის ყველა მოთხოვნას პასუხი უნდა გაეცეს მგზავრის მიერ პროვაიდერის მიერ მოთხოვნიდან 12 საათის განმავლობაში. ნებისმიერი მოთხოვნა, რომელსაც არ გაეცემა პასუხი პროვაიდერის მიერ მოთხოვნიდან 12 საათის განმავლობაში, გააუქმებს არასათანადოდ მოპყრობილი ბარგის ანგარიშს და მგზავრს აღარ ექნება უფლება მიიღოს ბარგის დაბრუნების სერვისი, ან რაიმე კმაყოფილების საგარანტიო გადასახადი ამ მომსახურების ხელშეკრულებით.

მ. ეს მომსახურების ხელშეკრულება არ არის ანაზღაურებადი და გადაცემადი. თუ მგზავრის რეისი გაუქმდა ან შეიცვალა და მის ადგილას დაიჯავშნა ახალი რეისი, რომელიც არ არის მითითებული მგზავრის ავიაკომპანიის დამადასტურებელ ნომერში, რომლითაც მათი მომსახურება შეიძინა, მგზავრმა უნდა შეიძინოს ახალი მომსახურება ახალი რეისისთვის. ონლაინ ბილეთების ვებსაიტებზე შესრულებული შესყიდვებისთვის: თითოეული შესყიდვა ხდება ონლაინ ვებსაიტის მეშვეობით დაჯავშნილი მარშრუტის მიხედვით, რომელიც მოცემული იქნება ამ ვებსაიტის მიერ შეძენის დროს მოწოდებული დადასტურების ნომრის ქვეშ. ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის რეისის გაუქმება და ხელახალი დაჯავშნა, მარშრუტში, რომელიც ხდება ვებ დაჯავშნის გარეთ, საჭიროებს ცალკე მომსახურების შეძენას ნებისმიერი ახალი დაჯავშნილი რეისისთვის. მგზავრს შეუძლია აცნობოს პროვაიდერს ცვლილების შესახებ მარშრუტის ფარგლებში რომელიმე რეისის გამგზავრებამდე, ელ.წერილის გაგზავნით შემდეგ მისამართზე info@blueribbonbags.com, მათი მომსახურების ხელშეკრულების ნომრის მითითებით სათაურის ველში, რომელიც აჩვენებს ახალ რეისების მარშრუტის ფარგლებში, რათა თავიდან იქნას აცილებული დამატებითი მომსახურების შეძენა.

ნ. მარეგულირებელი კანონი; იურისდიქცია: წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება და ყველა პრეტენზია, რომელიც გამომდინარეობს აქ განხილული მხარეების შეთანხმებიდან, წარმოიქმნება თუ არა უშუალოდ ამ მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, რეგულირდება და განიმარტება ნიუ-იორკის შტატის კანონების შესაბამისად, კანონის კონფლიქტის დებულებების მოქმედების გარეშე. მხარეები თანხმდებიან შტატისა და ფედერალური სასამართლოების ექსკლუზიურ იურისდიქციაზე, რომლებიც მოქმედებენ ნიუ-იორკის შტატში, ნიუ-იორკის ოლქში, ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოქმნილი ყველა დავის განხილვისთვის. არასწორად მოპყრობილი ბარგის ანგარიშებთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილება ეკისრება მხოლოდ Blue Ribbon Bags-ს. არცერთ მესამე მხარის გამყიდველს ან პროდუქტის სადისტრიბუციო პარტნიორს არ აქვს არანაირი გავლენა ან აკრძალვა რაიმე გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიიღება არასწორად მოპყრობილი ბარგის შესახებ არსებულ ანგარიშებთან დაკავშირებით, მათ შორის არცერთ უარყოფაზე, საქმის დახურვაზე ან კვალიფიკაციაზე Blue Ribbon Bags-ის კმაყოფილების საგარანტიო გადასახადზე. ასევე, ყველა მესამე მხარის გამყიდველი და პროდუქტის სადისტრიბუციო პარტნიორი სრულად გამოირიცხება ნებისმიერი და ყველა სამართლებრივი ქმედებისგან, რომელიც გამოწვეული იქნება არასწორად მოპყრობილი ბარგის შესახებ ანგარიშთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შედეგად. ეს მოიცავს ყველა უარყოფას, საქმის დახურვას და კვალიფიკაციას Blue Ribbon Bags კმაყოფილების საგარანტიო გადახდისთვის.

ო. მგზავრი თანახმაა, რომ BRB-ს შეუძლია გაუზიაროს ინფორმაცია არასწორად მოპყრობილი

ბარგის შესახებ მესამე მხარის ონლაინ ტურისტულ საიტს ან ტურისტულ სააგენტოს, საიდანაც მგზავრმა იყიდა BRB სერვისი, რომელიც პირდაპირ კავშირშია არასწორად მოპყრობილი ბარგის ანგარიშთან. პირდაპირ BRB-თან განხორციელებული ნებისმიერი გაყიდვისას, რომელიც ხდება ონლაინ ტურისტული საიტის ან ტურისტული სააგენტოსგან მიმართვის გზით, მგზავრი თანხმდება, რომ BRB-ს შეუძლია გაუზიაროს გაყიდვების ყველა მონაცემი სააგენტოს, რომელმაც მიმართა მგზავრი BRB საიტზე რეისის შესაძენად.

4. კონფიდენციალურობის განცხადება

ა. პროვაიდერი ვალდებულია დაიცვას თქვენი კონფიდენციალურობა, და სრულად შეესაბამება კონფიდენციალურობის შესახებ მოქმედ რეგულაციებს, მათ შორის ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას (GDPR). ბარგის დაბრნების სერვისის შეძენით ან გამოყენებით თქვენ ეთანხმებით მონაცემთა შეგროვებას და იყენებთ ამ კონფიდენციალურობის განცხადებაში აღწერილ პრაქტიკებს.

ბ. თანხმობა მონაცემთა შეგროვებაზე: ბარგის თვალსადევნებელი და დაბრუნების მომსახურებების შესაძენად და გამოსაყენებლად, მგზავრი უნდა დათანხმდეს გარკვეული პერსონალური მონაცემების მიწოდებას, რათა პროვაიდერს მისცეს მომსახურების გაწევის ან თქვენ მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელების საშუალება. მაგალითად, მგზავრი აწვდის პერსონალურ მონაცემებს მომსახურების ხელშეკრულების შეძენისას და, საჭიროების შემთხვევაში, MBR და ბარგის ადგილმდებარეობის სხვა სერვისების შესასრულებლად. ეს პერსონალური მონაცემები შეიძლება შეიცავდეს საკონტაქტო მონაცემებს, როგორიცაა თქვენი სახელი, დასახელება, კომპანიის/ორგანიზაციის სახელი, ავიაკომპანიის/რეისის/ჯავშნის ინფორმაცია, გადახდის ინფორმაცია, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები და ფიზიკური მისამართი.

გ. თანხმობა პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე: პროვაიდერი გამოიყენებს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ ამ მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის, რათა მოგაწოდოთ თქვენ მიერ მოთხოვნილი მომსახრებები და ტრანზაქციები.

დ. თანხმობა პერსონალური მონაცემების გამჟღავნებაზე: თქვენ მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები არ იქნება გამჟღავნებული პროვაიდერის გარეთ (მისი შვილობილი კომპანიების, პარტნიორი კომპანიების და ერთობლივი საწარმოების ჩათვლით), შემდეგი გამონაკლისების გარდა:

i. თანხმობა ავიახაზების, ტურისტული სააგენტოებისა და ბარგის მოპყრობის სერვისებისთვის მონაცემების გამჟღავნებაზე: იმისთვის, რომ პროვაიდერს მისცეთ უფლება შეასრულოს თქვენ მიერ მოთხოვნილი მომსახურება ან ტრანზაქცია, პროვაიდერს შეუძლია თქვენი სახელით გაუმჟღავნოს პერსონალური მონაცემები ავიაკომპანიებს, ტურისტულ სააგენტოებს და ბარგის მოპყრობის სერვისებს, რათა დაეხმაროს ბარგის თვალისდევნების და დაბრუნების სერვისების უზრუნველყოფას. პროვაიდერი ამ კომპანიებს მიაწვდის პერსონალური მონაცემების მხოლოდ იმ ელემენტებს, რომლებიც მათ სჭირდებათ ამ მომსახურებების მიწოდებისთვის. ამ კომპანიებს და მათ თანამშრომლებს ეკრძალებათ ამ პერსონალური მონაცემების გამოყენება სხვა მიზნებისთვის.

ii. თანხმობა გამჟღავნებაზე სხვა მიზეზების გამო: პროვაიდერს შეუძლია გაამჟღავნოს პერსონალური მონაცემები, თუ ამას მოითხოვს კანონი ან კეთილსინდისიერი რწმენა, რომ ასეთი ქმედება აუცილებელია კანონის მოთხოვნების ან ჩვენთვის მოწოდებული სამართლებრივი პროცესის შესასრულებლად, ჩვენი უფლებების ან საკუთრების დასაცავად ან გადაუდებელ გარემოებებში, ნებისმიერი პიროვნების პირადი უსაფრთხოების დასაცავად.

ე. მონაცემთა კონტროლერი და პოლიტიკის ცვლილებები: პროვაიდერი, როგორც ვებგვერდის სპონსორი და შემსრულებელი, ასევე არის შეგროვებული მონაცემების მაკონტროლებელი. პროვაიდერს შეუძლია ხელახლა შეაფასოს ეს პოლიტიკა მუდმივად და იტოვებს უფლებას შეცვალოს კონფიდენციალურობის პოლიტიკა შემდგომი შესაბამისობის ხელშეწყობის მიზნით.

ვ. მონაცემთა შენახვის პერიოდი და წაშლის პროტოკოლები: შეგროვებული მონაცემები ინახება იმ

პერიოდის განმავლობაში, რომელიც საშუალებას მისცემს პროვაიდერს გაუწიოს მომსახურება ან განახორციელოს ტრანზაქციის მოთხოვნა მგზავრის მიერ, და ექვს თვემდე ვადით, ნებისმიერი კანონიერი ან მარეგულირებელი უფლების პერიოდის დასრულების შემდეგ, რაც უზრუნველყოფს მგზავრის მიერ პრეტენზიების დროულ წარდგენას. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მგზავრს შეუძლია შემდგომში აირჩიოს ნებისმიერი პერსონალური მონაცემების წაშლა მოთხოვნის გაგზავნით მისამართზე info@blueribbonbags.com.

Blue Ribbon Bags, LLC

Gabriel Menkin
Chief Executive Officer